



მუშათა და ზღაბთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისარტა საბჭოს და მკონსოვიუჩი საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. ივლისი 25.

№ 13

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

149. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგგეგმო-ეკონომიური ნაწილის სტატისტიკოსების ჯამაგირის განაკვეთების შეცვლის შესახებ.

150. რესპუბლიკანურ სახელმწიფო დაწესებულებებში, საბუნების და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მთავრობის დირექტივების აღსრულების შემოწმების შესახებ.

სამოქალაქო სამართალი.

151. სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო საჭიროებისათვის შენობებისა, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობების და წესის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა.

152. სატყეო მეურნეობის მმართველობის თაობაზე გამოცემული ზოგირით დადგენილების გაუქმების შესახებ.

153. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე შემაბეტის დამზადებისა და წყლით ჩამოტივ-

რების გვემის შესრულებისათვის საჭირო დონისძიებათა შესახებ.

კავშირგაბმულობა.

154. საფოსტო მტრედების საელდებულო რეგისტრაციის შესახებ.

სოციალურ - კულტურული წყობილება.

155. კლუბებისა, ქობ-სამკითველობისა და წითელი კეთილების ქსელის გვემამწიწილად განვითარებისა და მათი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის მატერიალურად უზრუნველყოფის შესახებ.

156. ფიზიკური კულტურის სფეროში სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ.



სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

149. დადგენილება ც. ა. ქ.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგვემო-ეკონომიური ნაწილის სტატისტიკოსების ჯამაგირის განაკვეთების შეცვლის შესახებ.

„სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგვემო-ეკონომიური ნაწილის სტატისტიკოსების ჯამაგირის განაკვეთების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. დეკემბრის 16-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4) და „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილების 1-ლი დანართის სათანადო ნაწილის შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 289), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაწესებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგვემო-ეკონომიური ნაწილის სტატისტიკოსებისათვის ჯამაგირის შემდეგი განაკვეთები:

I-ლი კატეგორიის რაიონებში	75	მანეთი
მე-II	85	„
მე-III	100	„

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. ივნისის 3.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 134 №-ში 1931 წ. ივნისის 12.

150. დადგენილება ს. კ. ს.

რესპუბლიკანურ სახელმწიფო დაწესებულებებში, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მთავრობის დირექტივების აღსრულების შემოწმების შეხახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ცენტრალური დაწესებულებებისა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ორგანიზაციების ხელმძღვანელთ:

ა) გამოაკონს სპეციალურად თვითეულ რესპუბლიკანურ სახელმწიფო დაწესებულებასა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ორგანიზაციაში მთავრობის დირექტივების აღსრულების შემოწმებისათვის სისტემატიური მეთავალაურეობისა და კონტროლის გასაწვევად კოლეგიის (პრეზიდიუმის ან გამგეობის) წევრი და დააკისრონ მას პერსონალური პასუხისმგებლობა მთავრობის დირექტივებისა და დადგენილებების აღსრულების თავის დროზე შემოწმებისათვის;



ბ) უზრუნველყონ მთავრობის დირექტივებისა და დადგენილებების აღსრულება იმით, რომ პასუხისმგებლობა დირექტივის სათანადო ვადაზე აღსრულებისათვის დაეკისროს განსაზღვრულ აღმასრულებელს, და აგრეთვე იმით, რომ შედგენილ იქნეს ხოლმე აღსრულების კონკრეტული გეგმები, შემოღებულ იქნეს აგრეთვე სასტიკი დისციპლინა მთავრობის დირექტივების აღსრულების საქმეში.

შენიშვნა. კოლეგიის წევრის გამოყოფა არ ანთავისუფლებს დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს პასუხისმგებლობისაგან მთავრობის დირექტივების სისწორით და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2. სახალხო კომისარიატები და ორგანიზაციები მოაწყობენ თავიანთ აპარატში აღსრულების შემმოწმებელ ჯგუფს (ან სექტორს) საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ განსაზღვრული შტატით.

კონტროლის გასაწევად გამოყოფილი წევრი კოლეგიისა გამოიყენებს აღსრულების შემმოწმებელი ჯგუფის (სექტორის) აპარატს.

3. მუდმივი მეთვალყურეობის გაწევა ცენტრალურ დაწესებულებასა და საწარმოში კონტროლის მოწყობისა და განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

4. წინადადება მიეცეს ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთ აცნობონ, ზუთი დღის ვადაზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს იმ პირობა გვარები, ვინც პასუხისმგებელ იქნება აღსრულების კონტროლის საქმის დაყენებისათვის.

5. მიენდოს აფხაზეთის ავტონ. სსრ-ისა, აჭარის ავტონ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ანალოგიური ღონისძიება.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ლ. სუნიჭვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. ივნისის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 144 №-ში 1931 წ. ივნისის 24.

სამოქალაქო სამართალი

151. დადგენილება ს.კ.ს.

საეკრო-სამრეწველო და სასაწყობო საჭიროებისათვის შენობებისა, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობების და წესის შესახებ.

„საეკრო-სამრეწველო და სასაწყობო საჭიროებისათვის იჯარით გასაცემი სადგომებისა და მიწის ნაკვეთების სასყიდლის განაკვეთების გადასინჯვის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 28 №-ი, მუხ. 251), აგრეთვე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის მიერ 1928 წ. იელისის 4-ს მიღებული დადგენილებებისა (ოქმი № 11, პუნ. 5) და აკსფერ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ 1928 წ. იენისის 21-ს გამოტანილი დადგენილების (ოქმი № 11, პუნ. 17) შესასრულებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სავაჭრო-სამრეწველო, საკონტროო, საბანკო და სასაწყობო სადგომებისა, აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო მიზნით მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობები და წესი განისაზღვრება შემდეგ საფუძვლებზე:

1. საქალაქო საბჭოები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და სასოფლო საბჭოები მოვიდენი არიან მათ გამგებლობაში ქონებული როგორც უკვე თავისუფალი, ისე შემდგომ განთავისუფლებული შენობისა, სადგომისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის დროს უპირატესობა მისცენ, აქვე აღნიშნული თანამიმდევრობით, სახელმწიფო დაწესებულებათ და საწარმოთ, კოოპერატიულ ორგანიზაციებს და შერეულ სააქციო საზოგადოებებს, აგრეთვე გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტებს, ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებს, კოლექტივებს და არტელებს, როგორც არსებული წესისამებრ დარეგისტრირებულ არიან.

როდესაც ერთსა და იმავე სადგომზე თემიწის ნაკვეთზე წინა აბზაცში აღნიშნული რამდენიმე თანაბარი მნიშვნელობის დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის განცხადება შეტანილი, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და საბჭო, სადგომისა თუ ნაკვეთის იჯარით გაცემის დროს, იხელმძღვანელებს მათ მეურნეობრივ მიზანშეწონილობას და განცხადების შეტანის დროს.

უკეთუ 1-ლ აბზაცში აღნიშნულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათგან განცხადებები არ არის შესული, იჯარით გაცემა ნიშნდება საყოველთაოდ მტკიცე ტარიფის მიხედვით.

2. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომებისათვის ახალი ტარიფი, რაც არ უნდა აღემატებოდეს 1928 წლის მაისის 9-თვის მოქმედ საიჯარო განაკვეთებს, და რისთვისაც ანგარიშში უნდა მიიღონ შემდეგი ძირითადი ელემენტები (ერთი წლის ვარაუდით):

ა) საამონტიზაციო ხარჯები, კაპიტალური რემონტის ღირებულების ჩათვლით,—იჯარით გასაცემი ყველა შენობის სააღნაგო ღირებულების 2¹/₆-ის რაოდენობით საშუალოდ;

ბ) საექსპლოატაციო ხარჯები და აგრეთვე ცარიელი სადგომების საკონსერვაციო ხარჯი—შენობის ღირებულების 1¹/₆-ის რაოდენობით;

გ) საპროცენტო ანარიცხები (მოგება) შენობის სააღნაგო ღირებულების—ისეთი რაოდენობით, რაც დამოკიდებულია ამა თუ იმ სადგომის ადგილმდებარეობისა და ადგილობრივი პირობებისაგან; ამასთანავე, საპროცენტო ანარიცხების (მოგების) საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ამა თუ იმ ქალაქში განსაზოგადოებულ სექტორზე იჯარით გაცემული სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომების სააღნაგო ღირებულების 10¹/₆-ს წელიწადში.

3. შენობისა და სადგომის სააღნაგო ღირებულება განისაზღვრება შენობის კუბატურის მიხედვით საინვენტარიზაციო ცნობების თანახმად. უკეთუ ინ-



ვენტარიზაცია არ მომხდარა, შენობისა თუ სადგომის სააღნაგო ღირებულება განისაზღვრება მისი კუბატურის კვალობაზე, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს გაზომვით; ამასთანავე ეს ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ტფილისში 22 მან. 50 კაპ., სოხუმსა, ბათუმსა, ფოთსა და ქუთაისში—20 მანეთს კუბიკურ მეტრზე, ხოლო სხვა ადგილას—15 მან. კუბ. მეტრზე.

შენიშვნა. გაადვილებული ტიპის ხის შენობის სააღნაგო ღირებულება განისაზღვრება არა უმეტეს ხუთი მან. კუბ. მეტრზე.

4. მოიჯარეთა სოციალური კატეგორიისა და ვაჭრობის ხასიათის მიხედვით სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათათვის დადგენილ იქნეს მტკიცე ტარიფის მონაკლები; ამასთანავე, ეს მონაკლები არ შეიძლება იყოს შემდეგ რაოდენობაზე მცირე:

- მონაკლები მოიჯარეთა სოციალური კატეგორიის მიხედვით:
 - ა) ყოველი სისტემის კოოპერატიული ორგანიზაციისათვის 10%/₆
 - ბ) სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციისათვის 15%/₆
 - გ) სამეურნეო ხარჯზე მყოფი სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს და სადარგო შენაერთისათვის 10%/₆
 - დ) პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის 15%/₆
- უკეთეს ჩამოთვლილი ორგანიზაციები ეწევიან ქვემოლ დასახლებული პროექტების ვაჭრობას თუ მომარაგებას, მათ ეძლევათ შემდეგი მინიმალური მონაკლები:

- ა) ხორციელისა, თევზეულისა, ხილეულისა და მწვანის 15%/₆
- ბ) პურეულისა, სათბობისა და საზოგადოებრივი კვებისა 15%/₆
- გ) წიგნის გამოცემას და ვაჭრობას 25%/₆
- დ) აფთიაქს 25%/₆

5. დარაბების გასაცემად დაწესებულ იქნეს ზღრული ზედნართი მტკიცე ტარიფზე ვაჭრობის და წარმოების მხოლოდ შემდეგ დარგებისათვის:

- ა) საიუველირო სახელოსნოსა და ვაჭრობისათვის 25%/₆
- ბ) საათისა, ველოსიპედისა და საწერი მანქანის სახელოსნოსათვის 25%/₆
- გ) კერძო ვაჭრობისათვის 25%/₆
- დ) საკომისიო მალაზიისათვის 25%/₆
- ე) ღვინისა და გასტრონომიული ვაჭრობისათვის 15%/₆

6. ბოსტნეულის შესაწავად ვარჯისი სასაწყობო სადგომისათვის, რაც იჯარით აღებული აქვს „ა/კ ხილეულ-ბოსტნეულის“ სადარგო შენაერთსა და აგრეთვე სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, საიჯარო ქირა განისაზღვროს შემდეგ განაკვეთებად კვადრ. მეტრზე თვეში:

- ა) პაკაუზის ტიპის საწყობისათვის საარკინისგზო ლიანდაგზე, აგრეთვე საპორტო საწყობისათვის 19 კაპ.;
- ბ) ქალაქად მდებარე საწყობისათვის, იმ საწყობთა გამოკლებით, რაც სარკინისგზო ლიანდაგზე და პორტშია 11 "
- გ) სხვა საწყობისათვის 9 "

7. საიჯარო ქირის გარდა მოიჯარეს შეიძლება დაეკისროს შემდეგი ბარჯები: ბარჯები იმ სადგომისათვის, რომლის უშუალო ექსპლუატაციასაც მოიჯარე ეწევა, სახელდობრ: სადგომის მიმდინარე რემონტისა, გასუფთავებისა და გაწმენდისათვის—დაქერილი კუბატურის პროპორციულად; სასყიდლო კომუნალური მომსახურებისათვის გადახდილ უნდა იქნეს კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით.

8. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1931 წლის იანვრის 1-დან.

9. დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კომუნალურ სამმართველოს—გამოსცეს, ფინანსთა და მომარაგების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

10. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისათვისავე გაუქმებულ იქნეს ყველა წინად გამოცემული დადგენილება—სადგომების სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო საქიროებისათვის იჯარით გაცემის წესისა და ქირის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ლ. ხუბიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი გ. მესხი.

1931 წ. აპრილის 29.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა.

152. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სატყეო მეურნეობის მმართველობის თაობაზე გამოცემული ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

„სსრკ-ის სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 3-ის დადგენილების მე-5 მუხლისა (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 45 №-ი, მუხ. 465) და „ა/კსფსრ სატყეო მეურნეობის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 4-ის დადგენილების მე-9 მუხლის („ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. 63 №-ი) შესაბამისად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო იდგენენ:

გაუქმებული იქნეს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 18-ის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მართვაგამგებლობის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი მუხ. 131).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 16-ის დადგენილება „სატყეო მეურნეობათა მომუშავეების სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შესახებ იმ შემთხვევისათვის, ვინიცოცხლა ისინი სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით ან ამ მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულ ან დაშავებულ იქნენ და აგრეთვე მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი მუხ. 365).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე. ფ. შახარაძე.
საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.
სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. ივნისის 3.

ტფილისი.

153. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე შეშა-ხეტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების გეგმის შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„1931 წელს შეშა-ხეტყის დამზადებისა და წყლით წამოტივტივების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 6-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკა“-ს 156 №-ი 1931 წ. ივნისის 9-ისა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. წინადადება მიეცეს შეშა-ხეტყის დამზადების რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს: ა) დაუყოვნებლივ მოაწყონ ხეტყის წყლით ჩამოტივტივების ხელისშემწყობი საგანგებო სამეულები (კომისიები), რომლებიც ვათვალისწინებულა შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის 1931 წ. მარტის 24-ის თარიღისა და 87 №-ის ბრძანებით („ზარია ვოსტოკა“-ს 82 №-ი 1931 წ. მარტის 25), ხეტყის ჩამოტივტივების იმ რაიონებში, სადაც ეს კომისიები რაიმე მიზეზით აქამდე მოწყობილი არ არიან; ბ) შეშა-ხეტყის დამზადების იმ რაიონებში, სადაც ხეტყის წყლით ჩამოტივტივება არ სწარმოგეს, დაუყოვნებლივ მოაწყონ ხეტყის მასალის კაპანზიდით გამოტანის ხელისშემწყობი საგანგებო სამეულები (კომისიები) შემდეგი შედგენილობით: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე), სარაიონო პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი და სატყეო-სამრეწველო მეურნეობის წარმომადგენელი.

აღნიშნულ ხელისშემწყობ კომისიებს დაეკისროს პასუხისმგებლობა სადამკვერლო თვის განმავლობაში ხეტყის წყლით ჩამოსატვტივებლად და ხეტყის მასალის გამოსაზიდად საჭირო ყველა ღონისძიების განხორციელებისათვის ადგილებზე; აგრეთვე წინადადება მიეცეს ამავე კომისიებს ჩაატარონ, სასოფლო საბჭოებთან ერთად, კაპანადა ინდივიდუალურ მეურნე-გლეხების ხეტყის მასალის გამოზიდვის საქმეში ჩაბმისათვის თვითვალდების წესით.



2. წინადადება მიეცეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების კავშირის იხმაროს ღონისძიება, რათა, სამინდვრე მუშაობის დამთავრებისას, კოლექტიურ მეურნეობათა ჯაბანზიდვის ტრანსპორტი და მუშა-ძალა, ხეტყის დამშაღებელ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს ხეტყის მასალის მიზიდვისათვის სატივტივე მდინარეებზე და რკინის გზის სადგურებზე.

3. მიენდოს რესპუბლიკის პროკურორს და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს დაუყოვნებლივ მისცენ დირექტივები საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს უცილობლად პასუხისგებაში აძლიონ შეშა-ხეტყის დამზადების საქმის ჩაშლაში დამნაშავე პირნი და სასწრაფოდ და რიგს ვარეშე განიხილონ სათანადო სისხლის საქმეები.

4. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს სასწრაფოდ წარგზავნოს შეშა-ხეტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტეტივების რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ სამკურნალო დაზარება მოწყობილი არ არის, სათანადო სამედიცინო პერსონალი საჭირო რაოდენობის მედიკამენტებით.

5. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

6. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას შეამოწმოს ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების შესრულება და კერძოდ—1-ლი მუხლით გათვალისწინებული დირექტივის შესრულება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ლ. ხუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. მეხხია.

1931 წ. ივნისის 10.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“ 133 №-ში 1931 წ. ივნისის 11.

ს ა ვ შ ი რ ბ ა ბ მ უ ლ ო ბ ა

154. დადგენილება ს.კ.ს.

საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. საფოსტო მტრედების ყოლის უფლება აქვს მართოოდენ იმ დაწესებულებებსა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, რომელნიც წევრებად არიან საქართველოს სსრ თავდაცვა ავიაქიმის საზ.-საფოსტო მტრედების მომშენებელი ქვესექტორებისა.

2. ყველა ის დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კერძო პირი, რომელსაც უფლება აქვს იყოლოს საფოსტო მტრედები, მოვალეა დაარეგისტროს ეს მტრედები არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა შექმნის დღიდან.

შენიშვნა. მონაშენი მტრედები დარეგისტრირებულ უნდა იქნენ ერთი თვის ვადაზე დღიდან გამოჩეკისა.

3. დაურეგისტრირებელი მტრედების ყოლა აკრძალულია.

4. რეგისტრაცია მოხდება: ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში—თავდაცვა-ავიაქიმის ტფილისის საბჭოსთან, ხოლო რაიონებში—თავდაცვა-ავიაქიმის სარაიონო ორგანიზაციებთან.

5. საფოსტო მტრედების შექმნა თუ გასხვისება თავდაცვა-ავიაქიმის სათანადო ორგანოს უკოდნელად აკრძალულია.

6. დაწესებულება, ორგანიზაცია და კერძო პირი მოვალეა ყველა ის საფოსტო მტრედი, რომელიც მის ხელთაა, ხოლო მისი საკუთრება-კი არ არის (დაჭერილი, ეული და სხვ.) ჩააბაროს თავდაცვა-ავიაქიმის უახლოეს ორგანიზაციას ან მილიციის უახლოეს სამმართველოს.

შენიშვნა. ეს წესი ვრცელდება აგრეთვე იმ დაწესებულებაზე, ორგანიზაციაზე და კერძო პირზე, რომელსაც ჰყავს საფოსტო მტრედები, ხოლო უფლება-კი არა აქვს იყოლოს ეს მტრედები.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს გადაეწყვიტება საადმინისტრაციო წესით იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე ან ჯარიმა ას მანეთამდე, რასაც დაადებს მას სარაიონო ან საქალაქო მილიციის უფროსი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დასაღებად განსაზღვრული წესისაშუაგვრ.

8. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 5-ის დადგენილება „საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. შე-18 №-ი, მუხლი 199) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე დ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. მესხი.

1931 წ. ივნისის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 142 №-ში 1931 წ. ივნისის 21.

სოციალურ-კულტურული წყობილება

155. დადგენილება ც.ა.კ.

კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების ქხელის გეგმაშეწონილად განვითარებისა და მათი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის მატერიალურად უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების ქხელის დათვალერების შედეგი ვეჩვენებს, რომ ამ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, საერთოდ, ჯერ კიდევ არ გადაუკეთებიათ თავი-

ანთი მუშაობა, ჯერ კიდევ არ უქმნიათ პირი წარმოებისა და სოფლის მეურნეობისაკენ და ჯერ არ გადაქცეულან რაიონების კულტურული ცხოვრების კერებად.

ზოგი რამ მიღწევა ამ მხრით აქვთ პროფესიონალური კავშირების კლუბებს და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონს, სადაც ქობ-სამკითხველოებმა მოახერხეს თავიანთი მუშაობის გეგმის აგება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების შესაბამისად, მოაწყვეს გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელება და მოახდინეს საზოგადოებრიობის მობილიზაცია. გაცილებით ცუდ მდგომარეობაშია ეს საქმე ეროვნულ უმცირესობათა რაიონების კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში. აქ, საერთო ნაკლებლუაენებათა გარდა, თითქმის სრულიად არ მოიპოვება ლიტერატურა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე და უმწვავესი ნაკლებობაა კადრებისა.

დათვლიერებამ საკმარისად ვერ მოახდინა საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაცია კულტურული ამოცანების გარშემო. მხოლოდ ზოგიერთ რაიონებში მოწყობილმა სარაიონო და სასოფლო შტაბებმა და მათ მიერ გამოყოფილმა ბრიგადებმა განიხილეს გამოკვლევის მუშაობის გეგმები და გამოამტკიცეს მთელი რიგი საკითხები, რაც მთელი თავისი მნიშვნელობით პირველად აღინიშნა კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კოთხეების მომუშავეთა წინაშე. ქობ-სამკითხველოებისა და კლუბების გამგეების მიერ კრებებისათვის წარდგენილმა ანგარიშებმა დაინახვეს მასებს, რა უდიდესი ამოცანები აქვთ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს პარტიის გენერალური ხაზის გატარების საქმეში. დათვლიერებაში ჩაბმული ზოგიერთი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება თავი დათვლიერების პროცესშივე შეუდგა თავის მუშაობის გარდაქმნას: ამუშავედნენ კონკრეტულ გეგმებს, გამოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებები მუშაობის გარდაქმნის შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებების დათვლიერების შედეგმა გამოაჩვენა, რომ ამ დაწესებულებების ქსელი თანაბრად არ არის განვითარებული; უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილი არიან ამ მხრით ეროვნულ უმცირესობათა რაიონები, ხოლო უფრო მეტად — დასავლეთი საქართველოს რაიონები; ამის გარდა, კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებების ქსელის გაშლის ტემპები უაღრესად სუსტია როგორც საერთოდ რაიონებში, ისე მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში და ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ახალ მშენებლობებში და ზოგიერთ სამრეწველო რაიონებში.

ქობ-სამკითხველოების დაფინანსება სწარმოებს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარით, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ ქობ-სამკითხველოების გამგეთა შრომის სასყიდელს და ისიც არა ყველასი; მათი ნაწილი მუშაობს საზოგადოებრივი დატვირთვის წესით ან შეთავსებით. რაც შეეხება სხვა არსებითს მატერიალურ მოთხოვნილებას, მაგალითად, გაზეთებისა და ჟურნალების გამოწერას, გათბობას, განათებას და უსაკუროეს ინვენტარს, — ეს მოთხოვნილებანი ბიუჯეტით სრულიად არ არის უზრუნველყოფილი.

პროფესიონალურ კავშირთა კლუბების დაფინანსება გატარებულია სათანადო პროფესიონალურ კავშირთა ბიუჯეტებში და აგრეთვე საკმარისად როდი აკმაყოფილებს კლუბების მატერიალურ საჭიროებას.

წითელი კუთხეების დაფინანსება არაერთი ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის.

კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა უმეტესი ნაწილი უზრუნველყოფილი არ არის რამოდენადმე შესაფერი სადგომებით; ახალ სადგომთა აშენებაზე და არსებულთა რემონტზე საკმარისი მზრუნველობა არა სჩანს.

კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების ახალი მშენებლობა იგულისხმება, როგორც მეორე ხარისხიანი მნიშვნელობის ამოცანა; ამასთანავე, თვით ახალ სამრეწველო რაიონებშიაც კი ამ ახალი მშენებლობის საკითხი დღის წესრიგში არ არის მოქცეული.

კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა საორგანიზაციო სტრუქტურა მრავალსახოვანია და უმეტეს შემთხვევაში როდი უზრუნველყოფს მათ გარშემო საბჭოთა აქტივის მკიდროდ შემოკრებას; კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების მხოლოდ უმცირეს ნაწილს ჰყავს გამგეობები და საბჭოები.

კავშირი წარმოებისთან, კოლექტიურ მეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სკოლებთან გაბმული აქვს კლუბებისა და ქობ-სამკითხველოების მეტად მცირე რიცხვს.

კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მუშაობაზე საზოგადოებრივი ყურადღება მიქცეული არ არის.

რაიონებს არა აქვთ დამუშავებული კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის საერთო გეგმა, რითაც იხსნება ის, რომ არც თვით კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათ მოეპოვებათ სამუშაო გეგმები; ამ დაწესებულებათა უმეტესობა ძალიან სუსტ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო კამპანიებში. მუშაობა ამ კამპანიებში ჩაბმისა და აგრეთვე ინტერნაციონალურ და ანტირელიგიურ საკითხებისათვის დაყენებული არ არის კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების ამოცანების ცენტრში და იგი ხორციელდება გეგმის გარეშე, როგორც შემთხვევითი მუშაობა.

ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციები მეტის-მეტად სუსტ ხელმძღვანელობას უწყვენ კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების მუშაობას. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციები (სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, სოციალურ-კულტურული განყოფილებები, პროფესიონალური კავშირები, სამეურნეო ორგანოები და სხვ.) საკმარის ყურადღებას არ აქცევენ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა საჭიროებათ. ადგილობრივ პრაქტიკაში შემოღებული კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა გამგეების ხანგრძლივი ვადით მობილიზაცია და ამ დაწესებულებათა სადგომების ზინებისა და სხვა საჭიროებისათვის დათმობა ხელს უწყობს კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების მუშაობის ჩაშლას.

სრულიად დამაკმაყოფილებელი არ არის კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების მომსახურე კადრების კვალიფიკაცია; ამ მხრივ გან-

საკუთრებით არადამაკმაყოფილებელია მდგომარეობა ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში. ძალიან სუსტია მუშაობა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის და პირველ რიგში ეროვნულ უმცირესობათა რაიონებისათვის.

აღნიშნულ ნაკულლოვანებათა თავიდან აცილებისა, კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების ქსელის გვემაშეწონილად განვითარებისა და მათი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის მატერიალურად უზრუნველყოფის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს წარმოადგინონ ორი კვირის ვადაზე კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების ქსელის განვითარების კონკრეტული გეგმა. რათა ამ დაწესებულებებით უზრუნველყოფილ იქნეს პირველ ყოვლისა სამრეწველო რაიონები, ახალმშენებლობები, ეროვნულ უმცირესობათა რაიონები, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები, კოლექტიური მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ტენიკური კულტურების რაიონები.

2. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს ცალკეული უწყებებისა და ორგანიზაციების 1931-32 წლის ბიუჯეტში და აგრეთვე 1931-32 წლის საფინანსო გეგმებში ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა ქსელის შენახვა.

3. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ჩაატარონ მიმდინარე წლის ივნისისა და ივლისის განმავლობაში კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების გამგეთა და აგრეთვე კულტარმიელების აქტივის სარაიონო თავმოყრა; ამ თავმოყრის ამოცანას უნდა შეადგენდეს—მისცეს მასში მონაწილეთ კონკრეტული დირექტივები აღნიშნულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნისათვის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად.

თავმოყრისათვის საჭირო ხარჯები დაეკისროს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

4. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს მოაწყონ მიმდინარე წლის ზაფხულის თვეების განმავლობაში მთელი რიგი კურსები კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების მომსახურე კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის და ამ მომზადებით და გარდამზადებით უზრუნველჰყონ პირველ რიგში სამრეწველო რაიონებისა, ახალმშენებლობისა, ეროვნულ უმცირესობათა რაიონებისა, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებისა, კოლექტიურ მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და ტენიკური კულტურების რაიონების კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი.

5. კურსების მოსაწყობად საჭირო ხარჯები დაეკისროს სათანადო უწყებებსა და დაწესებულებებს.

6. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სოც.-კულტ. განყოფილებებსა, ცალკეულ პროფესიონალურ კავშირებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს—გაძლიერონ ცოცხალი და უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების მუშაობისათვის, იხმარონ ღონისძიებანი ამ კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებების საჭირო ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის და კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების, აგრეთვე კულტ. არმიების მუშაობაში შრომის სოციალისტური მეთოდების გაძლიერებისათვის.

7. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს დაამუშაონ ამა დადგენილების თანახმად და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი კლუბებისა, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების მუშაობის გარდაქმნისათვის.

8. მოსმენილ იქნეს სექტემბრის პირველ რიცხვებში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში განათლების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენებანი ამა დადგენილების აღსრულების შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. ივნისის, 6.

ტფილისი.

156. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ფიზიკური კულტურის სფეროში სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტის დებულებების დამტკიცების შესახებ.

რადგანაც ფიზიკური კულტურის სფეროში მუშაობას უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს როგორც მოსახლეობის გამაჯანსაღებელ, აღმზრდელ და შრომისა და ქვეყნის დაცვისათვის მომზადებელ საშუალებას დღევანდელ სარეკონსტრუქციო პერიოდში,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენენ:

1. აღინიშნოს, რომ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აპრილის 3-ის დადგენილების ის ნაწილი, რაც ეხება ფიზიკური კულტურის, როგორც სოციალურ-პივიენური, სამკურნალო და ევგენიური ფაქტორ-

რისა და შრომის გამაჯანსაღებელი და ნაყოფიერების გამადიდებელი ღონისძიებების, მეცნიერულად შესწავლას (1 და 2 მუხ.),—საქართველოს ცხოველმან პირობებში შესრულებულია არასაკმარისად. აღინიშნოს აგრეთვე, რომ იმ ორგანიზაციებში, რომელთაც ეს მუშაობა დავალებული ჰქონდათ (განათლების სახალხო კომისარიატმა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, შრომის სახალხო კომისარიატმა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ) განახორციელეს იგი ფიზიკური კულტურის მეთოდების საწარმოო პროცესების მიხედვით შესწავლის სფეროში არათვალსაზიროდ და არ გამოპყვეს ამ საქმის ცენტრალიზებული წესით მოწყობისათვის საჭირო სახსარი.

2. ვინაიდან მიზანშეწონილია ამ საქმის დამუშავებისა და დაგეგმვის ცენტრალიზაცია,—მოიწყოს ამ მიზნით ტფილისში, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან ფიზიკური კულტურის სპეციალური საბელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი—კადრების მომზადებელი ინსტიტუტების უფლებებით.

3. ფიზიკური კულტურის საბელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დებულება დამტკიცებული იქნეს.

4. ინსტიტუტის სახსარს შეადგენს:

ა) დაზღვეულთა სამედიცინო დახმარების რესპუბლიკანური ფონდის 2⁰/₆-ანი ანარიცხი;

ბ) ტფილისის საქალაქო საბჭოს ტერიტორიალური ფონდის (დაზღვეულთა სამედიცინო დახმარებისა) 1⁰/₆-იანი ანარიცხი;

გ) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დოტაცია 1931 წელს 20.000 მან. განათლების სახალხო კომისარიატის დოტაცია 1931 წელს—12.000 მან. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და შრომის სახალხო კომისარიატის დოტაცია 1931 წელს (თვითუელისაგან—6.000 მან.)—12.000 მან.

დ) სოციალური დაზღვევის პროცენტული ანარიცხი 1931 წ.—20.000 მან. წინადადება მიეცეს ყველა ზემოაღნიშნულ ორგანოს გადარიცხოს ჩამოთვლილი სახსარი ინსტიტუტის მიმდინარე ანგარიშზე არა უგვიანეს 1931 წ. ივნისის 15-ისა. მიენდოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის საფინანსო ჯგუფს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების აღსრულებას.

5. წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს—მიუჩინოს უახლოესი დროის განმავლობაში ინსტიტუტს სადგომი, რაც გამოსადეგი იქნება ინსტიტუტის მუშაობის სათანადოდ გაშლისათვის.

6. სამუშაოს ხასიათისა, საქმის სიხალისა, ფიზკულტურის საკითხებში შემჩნეული ინერტიულობისა, აგრეთვე წარმოებისა და თავდაცვის სფეროში პრაქტიკული ცდების ორგანიზაციის სიმწილის გამო, ინსტიტუტის სამეცნიერო დარგის მომუშავენი გათანასწოებულ იქნენ წარმოებაში მომუშავე სპეციალისტებთან.

7. ვინაიდან ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის ძირითად გეზს შეადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება და წარმოებაში მომუშავე კადრების ჯანმრთელობის დაცვა,—წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ტფილისის საქალაქო საბჭოს—გამოპყონ ინ-

სტიტუტთან შეთანხმებით, ხუთი საწარმო, რათა მათში თავმოყრილ იქნას ინსტიტუტის მთელი სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობა როგორც წარმოებამდ.

8. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს—გამოაყონ, დაკვირვებათა ობიექტის სახით ერთი სკოლა ვლებთა ახალგაზრდობისა, ხუთი საბჭოთა მეურნეობა და სამი კოლექტიური მეურნეობა.

9. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს—გამოსცეს სპეციალური დადგენილება, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუტის გეგმიან და დაუცადებელ მუშაობას სკოლებში.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სამეცნიერო ორგანიზაციას შეიტანოს თავის სამუშაოთა გეგმაში ფიზიკური კულტურის საკითხების მეცნიერულად დამუშავება ინსტიტუტთან შეთანხმებით. ამ ორგანიზაციების სათავეში მდგომმა სახალხო კომისარიატებმა თვალყური უნდა ადევნონ ამ ღირებულების შესრულებას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ლ. ხუბიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. მაისის 13.

ტიფლისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ.

1. ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები.

1. ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი იპყრება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

2. ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი უმაღლესი სამეცნიერო-პრაქტიკული დაწესებულებაა როგორც ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, ისე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, და მას აქვს ასეთი კატეგორიის დაწესებულებათათვის მიკუთვნიებული ყველა უფლება და უპირატესობა.

3. ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ამოცანაა—შეისწავლოს ფიზიკური კულტურა, როგორც შრომის გაჯანსაღებისა და ნაყოფიერების გადიდებისა და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების სოციალურ-პოლიტიკური, სამეურნეო და ეკონომიკური ფაქტორი.

4. ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს დაეკისრება:

ა) შეისწავლოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული საკითხები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპების საფუძველზე;

ბ) აწარმოოს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა ფიზიკური კულტურის საშუალო-თეორეტიკული-საორგანიზაციო საკითხებისათვის;

გ) გაავრცელოს სამეცნიერო ცოდნა, მოამზადოს და გარდაამზადოს სპეციალისტები სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობისათვის ფიზიკური კულტურის სფეროში;

დ) შეიმუშაოს ფიზიკური აღზრდისა, განათლებისა და განვითარების სამეთოდოლოგიო და საორგანიზაციო საკითხები და განახორციელოს ფიზიკური მუშაობა ამ სფეროში;

ე) შეიმუშაოს საბჭოთა ფიზიკური კულტურის პრინციპები, როგორც სოციალურ-ეფექტიური და სოციალურ-პიგიენტური ფაქტორისა;

ვ) შეისწავლოს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და განვითარების პედოლოგიური საფუძვლები;

ზ) შეისწავლოს და შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი ფიზიკური კულტურის, როგორც პროფსაენებლობათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ხელისშემწყობი ფაქტორის, გამოყენებისათვის;

თ) შეიმუშაოს ფიზიკური ვარჯიშობის ფიზიოლოგიისა და პიგიენტის საკითხები;

ი) შეისწავლოს ფიზიკური კულტურის მორფოლოგიური საფუძვლები (დინამური ანატომია, მოძრაობათა მექანიზმი და თეორია);

კ) შეისწავლოს სამეცნიერო (სამკურნალო-საპედაგოგიო) კონტროლის საფუძვლები;

ლ) შეისწავლოს და შეიმუშაოს სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენების პრინციპები (ღობირება, ფიზიკური ვარჯიშობა, ფიზკულტურა კურორტებზე-ფიზიკური ვარჯიშობის ჩვენება და უკუჩვენება);

მ) შეისწავლოს ფიზიკური კულტურის პედოლოგიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები და ფიზიკური კულტურის გავლენა პიროვნებისა და კოლექტივის სოციალურ-შრომითი ხასიათის ყოფა-ქცევაზე;

ნ) შეისწავლოს ფიზიკური კულტურის გავრცელების მასიური ფორმები და წარმოებაში, ყოფა-ცხოვრებაში და სოფლად სოციალურ სექტორში მასიური მუშაობის პრაქტიკულად განხორციელების საშუალებანი;

ო) შეიმუშაოს ინსტიტუტის საკვლევო მუშაობის შედეგები ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით;

პ) მოაწიოს სამეცნიერო-საკვლევო ექსპედიციები;

ჟ) მოაწიოს და ჩაატაროს მოკლევადიანი კურსები და სემინარები პროცინციალური გეიმებისათვის—ფიზიკური კულტურის სფეროში მათი მომზადებისა და კვალიფიკაციის წარმატების მიზნით;

რ) შეისწავლოს სამეცნიერო-საკვლევო პრობლემები ტურიზმისა და ექსკურსიების სფეროში;

ს) მონაწილეობა მიიღოს თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ყრილობებში, კონფერენციებში და თათბირებში, აგრეთვე მოაწიოს სამეცნიერო კრებები, დისპუტები, თათბირები და კონფერენციები;

რ) დაამყაროს ორგანიზაციული კავშირი სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებთან და დაწესებულებებთან; ხელი შეუწყოს საბჭოთა საზოგადოებრივი ურთიერთობის მოზიარების ფიზიკური კულტურის საკითხების გარშემო და გამოსცეს სამეცნიერო ნაშრომები;

ჟ) გაუწიოს მშრომელთა ფიზკულტურის ღონისძიებათა მეშვეობით სამკურნალო-საპროფილაქტიკო დახმარება;

ფ) გაუწიოს ხელმძღვანელობა იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელნიც აწარმოებენ სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობას ფიზიკური კულტურის სფეროში.

5. ინსტიტუტის შესანახად საჭირო სახსარი განისაზღვრება განსაკუთრებული დადგენილებით.

II. ინსტიტუტის სტრუქტურა.

6. ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი შესდგება ოთხი სექტორისაგან:

- ა) წარმოებისა და შრომისა;
- ბ) ფიზიკური კულტურის სოციალურ-მეთოდოლოგიური საფუძვლებისა;
- გ) სამკურნალო-საპროფილაქტიკო;
- დ) მასსური მუშაობისა.

სექტორების დავალებათ შეასრულებენ ინსტიტუტთან მოწყობილი კაბინეტები:

- ა) სოციოლოგიური;
- ბ) ბიომეტრიული;
- გ) პროფსაენებლობათა;
- დ) სამკურნალო ფიზკულტურისა;
- ე) ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიისა;
- ვ) სოციალურ-შრომითი ყოფა-ქცევისა და გამოყენებითი ფსიქოტეხნიკის აღნუსხვისა;
- ზ) ბავშვთა და მოზარდთა აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვისა;
- თ) სისტემატიკისა და მეთოდისა;
- ი) მასსური მუშაობისა;
- კ) სტატისტიკისა.

III. ინსტიტუტის მმართველობა და პირადი შედგენილობა.

7. ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს განაგებს დირექტორი, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი—საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

8. ინსტიტუტთან არსებობს საბჭო, რომელშიაც შედიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი, ტფილისის საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებისა და საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი, და აგ-

რეთვე ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო დირექტორის არ ყოფნის დროს — მისი მოადგილე.

9. დირექტორის დამხმარედ, მე-7 მუხლში აღნიშნული წესისამებრ, დაენიშნება მოადგილე ინსტიტუტის თანამშრომელთაგან.

10. საბჭო იკრიბება სხდომაზე დეკადაში ერთხელ; იგი გადასწყვეტს პრინციპიულურ და საადმინისტრაციო-სამეურნეო ხასიათის საკითხებს, რაც მოითხოვს საუწყებათაშორისო შეთანხმებას (მუშაობის გეგმა, ხარჯთაღრიცხვა, კონფერენციის დღის წესრიგი).

11. ინსტიტუტის მუშაობის გეგმას შეიმუშავენ დირექტორი და დამატკიცებს საბჭო.

12. საორგანიზაციო-საგეგმო და სამეცნიერო-პრაქტიკული საკითხები განიხილება ინსტიტუტის კონფერენციებზე ინსტიტუტის სამეცნიერო დარგის მომუშავეთა მონაწილეობით და ინსტიტუტის დირექტორის თავმჯდომარეობით.

13. კონფერენციებს მოიწვევს ინსტიტუტის დირექტორი თავში ერთხელ — მაინც.

14. ინსტიტუტის შტატი განიყოფება ორ ნაწილად: ერთ ნაწილს შეადგეს მუდმივი კადრი, ხოლო მეორე ნაწილს ცვალებადი შტატი.

მუდმივ კადრს ეკუთვნიან: ინსტიტუტის დირექტორი, მისი მოადგილე და კაბინეტების გამგენი. ცვალებად შტატს ეკუთვნიან ის პირნი, რომელნიც მიმაგრებულ არიან ინსტიტუტზე სხვადასხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან სამეცნიერო მუშაობისათვის, და ინსტიტუტის დროებითი მომუშავენი, რომელნიც მუშაობენ განსაკუთრებული ხელშეკრულების მიხედვით.

დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მიმაგრებულთა და დროებით მომუშავეთა რიცხვს განსაზღვრავს საბჭო.

15. ფიზიკური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს აქვს ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა შთაერობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, ა/წ. მე-8 ნომრიდან დაწყებული, ადრესატებს ეგზავნებათ ბანდეროლით.

ამით გაუქმებულია, ამა წლის კანონთა კრებულის მე-3 ნომერში (77 გვერდზე) დაბეჭდილ განცხადებაში აღნიშნული დაჯანჯანის წესი.